ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 12.02.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №3
მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჯარო სკოლისთვის ზურაბ გურჩიანის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 29/10/2020წ. N-1402. წარმოდგენილიქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს მომართვა: მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისკარში არსებული საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ზურაბ გურჩიანის სახელის მინიჭების შესახებ. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილების მიღებისას იხემძღვანელა საქართველოს კანონმდებლობით და წრმოდგენილი ფაქტებით ზურაბ გურჩიანის შესახებ, რომელიც გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. იგი 1993 წლის 5 ივლისს 22 წლის ასაკში დაიღუპა აფხაზეთის ომში, აგრეთვე გაითვალისწინა ის გარემოება რომ,ზურაბ გურჩიანი სწორედ ამ სკოლის წარჩინებული კურსდაამთავრებულია. ამ განსაკუთრებული დამსახურებების, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 194-ე ბრძანების მე-4[1] მუხლის ,,ბ“ პუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 29/10/2020წ. N-1402 მომართვის, საინიციატივო ჯგუფის განცხადების საფუძველზე:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ისკარიში არსებულ საჯარო სკოლას მიენიჭოს ზურაბ გურჩიანის სახელი და სკოლის სახელწოდება ჩამოყალიბდეს წარმოდგენული რედაქციით ,,სსიპ -ზურაბ გურჩიანის სახელობის მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლა“

2.მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების და შესაბამი დოკუმენტაციის გადაგზავნა საკითხის ინიციატორებთან.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის"54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)

მაიზერ ჯაფარიძე

Mestia Municipality Digitally signed by Mestia Municipality Date: 2021.03.17 16:54:20 +04'00'

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე